*<u>დანართი 1</u>*

# საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია (2017-2020 წწ.)

აპრილი, 2017
ქ. თბილისი

# შესავალი

დემოკრატიული მმართველობა ადამიანის უფლებათა და მათ შორის განვითარების უფლების რეალიზაციის ძირითად საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და მონაწილეობითი მმართველობის დამკვიდრებას, რომელიც მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის მიღწევის აუცილებელი წინაპირობაა.[1] დემოკრატიული მმართველობის დანერგვის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერი საჯარო მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება და სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. აღნიშნული პრინციპების განუხრელი დაცვა, ასევე, აუცილებელია კორუფციის პრევენციისათვის, რადგან კორუფცია უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენს თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნის განვითარებაზე, კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.[2]

საჯარო მმართველობის ეფექტური სისტემა უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ შექმნილი კეთილდღეობის საზოგადოებამდე მიტანას, ხოლო კორუფცია ამ ფუნქციების შესრულებისათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს.[3] უკანასკნელ წლებში კორუფციის კლასიკურ განმარტებას - ძალაუფლების პირადი სარგებლისთვის გამოყენება[4] - ისეთი ფართო ცნებები დაემატა, როგორიც არის კეთილსინდისიერება და ანგარიშვალდებულება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც კორუფციულ რისკებზე დაუყოვნებლივი რეაგირების საშუალებას იძლევა. კორუფციის დაძლევის თანამედროვე მიდგომები ითვალისწინებს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც არასასურველი შედეგის თავიდან აცილებისკენ არის მიმართული, ხოლო ანგარიშვალდებულება და კეთილსინდისიერება წარმოადგენს კარგი მმართველობის იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც შესაძლო რისკებზე სახელმწიფოს აქტიურ რეაგირებას უზრუნველყოფს. ამავე დროს, კარგი მმართველობა მოითხოვს საზოგადოებაში ფართო კონსენსუსის მიღწევას იმ საკითხებზე და მისი განხორციელების გზებზე, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება საზოგადოებრივ ინტერესს. აღსანიშნავია, რომ კორუფციის პრევენციის მექანიზმების გაფართოებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროცესში მონაწილე მხარეების რაოდენობაც და დღეს ამ პროცესში

---

[1] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 7/11 - კარგი მმართველობის როლი ადამიანის უფლებების მხარდაჭერაში და დაცვაში, 27 მარტი, 2008
ხელმისაწვდომია: http://ap.ohchr.org/documents/E/HRC/resolutions/A_HRC_RES_7_11.pdf

[2] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია (2003)
ხელმისაწვდომია: http://www.unodc.org/unodc/en/treaties/CAC/index.html

[3] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 50/225 - საჯარო მმართველობა და განვითარება, 19 აპრილი, 1996
ხელმისაწვდომია: http://www.un.org/documents/ga/res/50/ares50-225.htm

[4] კორუფციის ტერმინის განმარტება, საერთაშორისო გამჭვირვალობა
ხელმისაწვდომია: http://www.transparency.org/what-is-corruption/

ხელისუფლების სამივე შტოსთან ერთად აქტიურად მონაწილეობს როგორც სამოქალაქო საზოგადოება, ისე კერძო სექტორი და მედია.[5]

„ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ (შემდგომში - ასოცირების შეთანხმება), რომელიც ძალაში სრულად 2016 წლის 1 ივლისს შევიდა, ხაზს უსვამს კარგი მმართველობის უზრუნველყოფის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას, როგორც ასოცირების შეთანხმების შესრულებისათვის აუცილებელ პრინციპებს.[6] ასოცირების შეთანხმებაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენცია განხილულია, როგორც ცალკე მდგომი ვალდებულება და ვრცელდება როგორც საჯარო ისე კერძო სექტორებზე. ასოცირების შეთანხმებაში, ასევე, ხაზგასმულია საჯარო მმართველობის და საჯარო სამსახურის რეფორმის წარმატებით განხორციელების მნიშვნელობაც, რაც მოიცავს გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების გარემოს გაუმჯობესებას. ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ კიდევ ერთხელ გამოხატა მტკიცე ერთგულება დემოკრატიული ქვეყნების ისეთი საერთო ღირებულებებისადმი, როგორიც არის კარგი მმართველობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და აიღო ვალდებულება, გააგრძელოს მათი მტკიცედ დამკვიდრება საქართველოში. საქართველომ საკმაოდ რთული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ფონზე მოახერხა ფუნდამენტური რეფორმების განხორციელება ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის ინსტიტუციონალიზაციისთვის. საქართველომ გარდატეხა შეიტანა კორუფციასთან ბრძოლაში, გაატარა მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმა, მოახდინა ფინანსური ინსტიტუტების და საჯარო სამსახურის მოდერნიზება და აქტიურად ახორციელებს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის სამართლებრივ გარემოსთან.

ანტიკორუფციული პოლიტიკის თვალსაჩინო წარმატება არაერთი საერთაშორისო ანგარიშით და შეფასებით არის დადასტურებული. ანტიკორუფციული რეფორმების შედეგად დღეს საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის ინდექსის“ 2016 წლის მონაცემების მიხედვით, რომელიც კარგი მმართველობის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართოდ აღიარებული ინსტრუმენტია,[7] საქართველო 113 ქვეყანას შორის 34-ე ადგილზეა და აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის ლიდერია.[8] ინდექსის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი კორუფციის არარსებობა და ღია მმართველობაა.

---

[5] პრევენცია: კორუფციის შემცირების ეფექტური საშუალება, გვ 7-9, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC)
ხელმისაწვდომია: https://www.unodc.org/pdf/crime/gpacpublications/cicp2.pdf

[6] „ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, მუხლი 2(4)
ხელმისაწვდომია: http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA_BodyText%20%2810%29.pdf

[7] მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი, კანონის უზენაესობის ინდექსის მეთოდოლოგია
ხელმისაწვდომია: http://worldjusticeproject.org/sites/default/files/media/rolindex2016_methodology.pdf

[8] მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი, კანონის უზენაესობის ინდექსი (2016)

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, რაც, პირველ რიგში, საჯარო სამსახურში დაბალ და საშუალო რგოლებში მექრთამეობის მხრივ არსებული გამოწვევების აღმოფხვრაში გამოიხატება. მიღწეულ პროგრესს, ასევე, ადასტურებს საერთაშორისო გამჭვირვალობა-ს „კორუფციის აღქმის ინდექსი", რომლის მიხედვითაც, საქართველომ 2003 წელს არსებული 124 ადგილიდან 48-ე ადგილზე გადაინაცვლა 2015 წლის მონაცემებით.[9] ამასთან, 2016 წელს გამოქვეყნებულ კორუფციის გლობალური ბარომეტრის მიხედვით, საქართველოში კვლავ დაბალია წვრილმანი კორუფციის დონე.[10]

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული ქსელის (ACN) მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული მონიტორინგის მეოთხე რაუნდის ანგარიშში, ასევე, არის ნახსენები ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ გასული წლების განმავლობაში მიაღწია.[11]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველი ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2005 წელს დამტკიცდა, ხოლო შემდეგ 2010 და 2015 წელს განახლდა.[12] მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში 2008 წლიდან მოქმედებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო[13], რომლის ფარგლებშიც ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება და მათი

---

ხელმისაწვდომია: http://worldjusticeproject.org/rule-of-law-index

[9] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, კორუფციის აღქმის ინდექსი 2015
ხელმისაწვდომია: http://www.transparency.ge/node/5748

[10] კორუფციის გლობალური ბარომეტრი (2016), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
ხელმისაწვდომია: http://www.transparency.ge/post/barrometer2016

[11] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის მონიტორინგის მეოთხე რაუნდი სტამბოლის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესახებ, 15 სექტემბერი 2016, პარიზი
ხელმისაწვდომია: https://www.oecd.org/corruption/anti-bribery/Georgia-Round-4-Monitoring-Report-ENG.pdf

[12] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, 24 ივნისი, 2005
ხელმისაწვდომია:
http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2016%2F%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%20(2005).pdf
საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №376 საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, 3 ივნისი 2010
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1017686
საქართველოს მთავრობის დადგენილება №170 საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 20 აპრილი 2015
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2818704

[13] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №622 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ, 2008 წლის 26 დეკემბერი
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/104218
საქართველოს მთავრობის დადგენილება №390 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ, 30 დეკემბერი 2013
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2177485

განხორციელების ზედამხედველობა ხორციელდება.[14] გარდა ამისა, 2011 წლიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობს ღია მმართველობის პარტნიორობაში (OGP), რომელიც გამჭვირვალე, ეფექტური და ანგარიშვალდებული მმართველობის ჭრილში მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენს. 2014 წლიდან საქართველო არჩეულ იქნა, როგორც OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრი, ხოლო 2016 წლიდან საქართველო მისი თანათავმჯდომარე ქვეყანა გახდა. OGP-ის ფარგლებში საქართველომ უკვე შეასრულა ორი ეროვნული სამოქმედო გეგმა და 2016 წელს დაამტკიცა მესამე სამოქმედო გეგმა.[15]

2016 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო[16] შეუერთდა ღია მმართველობის ფორუმს და 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია საკუთარი ვალდებულებით.[17] როგორც ანტიკორუფციული საბჭოს ერთ-ერთი წევრი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ასევე, აქტიურად იქნება ჩართული 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. აღსანიშნავია, რომ გასული წლების განმავლობაში სამინისტროს სისტემაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის პრაქტიკა. კერძოდ, 2013 წლიდან სამინისტროში მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხარისხი, რაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებით დასტურდება.[18]

სამინისტრო აცნობიერებს კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს და მოწოდებულია სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისთვის და საჯარო მმართველობის პრინციპების გაუმჯობესებისთვის. დასახული მიზნის შესრულებისათვის სამინისტრომ შეიმუშავა წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია სამინისტროს სისტემისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.
სტრატეგიის განხორციელება დაგეგმილია როგორც სამინისტროში, ასევე, სამინისტროს სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში. კერძოდ, სამინისტროსთან ერთად ამ სტრატეგიის განხორციელება იგეგმება სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, სსიპ -

---

[14] საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 12[1]
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550

[15] [საქართველოს მთავრობის დადგენილება №557 ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 18 სექტემბერი, 2014;]
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2510377
[საქართველოს მთავრობის დადგენილება №539 ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 9 დეკემბერი, 2016;]
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3456448

[16] შემდგომში სამინისტრო

[17] საქართველოს მთავრობის დადგენილება №539 ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, ვალდებულება 11, 9 დეკემბერი 2016
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3456448

[18] [საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2010-2016 წლები], ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 28 სექტემბერი, 2016
ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/georgia-foi-2010-2016

ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიაში“, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში“.

2016 წლის ივნისში ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) მოამზადა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით არსებული ვითარების ანალიზი[19], რის შედეგადაც გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, სადაც არსებობს არსებული მექანიზმების გაუმჯობესების პოტენციალი. ანალიზის პროცესში გამოკვეთილი გამოწვევების აღმოსაფხვრელად სამინისტრომ შეიმუშავა წინამდებარე სტრატეგია, ხოლო სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისთვის მოამზადა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია არსებული გამოწვევების გადაჭრის კონკრეტული ღონისძიებები.

კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის მექანიზმების სისტემური სრულყოფის თვალსაზრისით კარგ პრაქტიკად მიიჩნევა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სექტორული სტრატეგიების შექმნა, რაზეც როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ისე ევროპული და ევროატლანტიკური ორგანიზაციების გამოცდილება მეტყველებს. 2004 წელს ევროკავშირის საბჭოს საჯარო მმართველობის დირექტორატის ეგიდით გამოქვეყნდა ევროკავშირში საჯარო სექტორის ეთიკის ჩარჩო, სადაც მოცემულია კეთილსინდისიერების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც უნდა დანერგონ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა და მათმა საჯარო დაწესებულებებმა.[20] 2016 წელს გამოქვეყნებული OECD-ACN-ის საქართველოს მონიტორინგის მეოთხე რაუნდის ანგარიშის მიხედვით, რეკომენდირებულია სექტორული სამინისტროებისთვის ინდივიდუალური ანტიკორუფციული ღონისძიებების დაგეგმვა.[21] საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო პირველი საჯარო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც ინდივიდუალური სტრატეგიის შექმნაზე მუშაობს.

## სტრატეგიის შემუშავების პრინციპები და პროცესი

სტრატეგია ეფუძნება კანონის უზენაესობის, ეფექტიანი შიდაუწყებრივი კომუნიკაციის, სამოქალაქო ჩართულობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. სტრატეგიის მიზნების განსაზღვრისას, ასევე, დოკუმენტის შემუშავების და განახლების პროცესში სამინისტრომ უზრუნველყო მისი საჯაროობა და საზოგადოებრივი

[19] სიტუაციური ანალიზი მომზადდა IDFI-ს მიერ და წარმოადგენს უწყების შიდა მოხმარების დოკუმენტს, სადაც მოცემულია ორგანიზაციის ხედვა არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

[20] საჯარო სექტორში ეთიკის ჩარჩოს მთავარი მახასიათებლები, ევროკავშირის საბჭო, 22 ნოემბერი 2004, მაასტრიხტი ხელმისაწვდომია: http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:wUjvwouy9T4J:www.eupan.eu/files/repository/Main_features_of_an_Ethics_Framework_for_the_Public_sector_as_adopted_22.11.04.doc+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=ge

[21] *იხ. ზემოთ სქოლიო 11, გვ. 23*

ორგანიზაციებისა და დარგის ექსპერტების აქტიური ჩართულობა. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია შემუშავებულია ისე, რომ დაცულია მისი სრული შესაბამისობა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიით გათვალისწინებულ მიზნებთან და ამოცანებთან. სტრატეგიის შემუშავების პროცესში სამინისტრომ მხედველობაში მიიღო ისეთი საერთაშორისო ინიციატივების სტანდარტები, როგორიცაა Open Contracting Partnership, გლობალური პარტნიორობა სოციალური ანგარიშვალდებულებისთვის (GPSA), Transparency & Accountability Initiative და ა.შ. ამ ინიციატივების მიერ შემუშავებული სტანდარტების მხედველობაში მიღება ხელს უწყობს კარგი მმართველობის პრინციპების დამკვიდრებას ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით. დოკუმენტის შემუშავებისას მისმა საჯარო განხილვამ უზრუნველყო სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესახებ უფრო ფართო დისკუსია და მრავალფეროვანი საკითხების გათვალისწინება.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის სამინისტროში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა სამინისტროს, მის სისტემაში და მართვაში არსებული სუბიექტების წარმომადგენლებისაგან. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე. მის საქმიანობაში, ასევე, მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გაიმართა 5 გაფართოებული და 10-მდე საკონსულტაციო შეხვედრა. სამუშაო პროცესში შეხვედრები გაიმართა კერძო კომპანიების და ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციების წარმომადგენლებთანაც.

არსებული მდგომარეობის შეფასების გარდა, სამინისტრომ გაიზიარა საერთაშორისო გამოცდილება, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მსგავსი დოკუმენტების შემუშავების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს და სტრატეგიით გაწერილი ამოცანების შესასრულებლად ცალკეული აქტივობების გამოყენებას.

## არსებული გამოწვევები

ვითარების მრავალმხრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა სფერო, სადაც არსებობს გაუმჯობესების პოტენციალი. გამოწვევები სხვადასხვაგვარია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის და სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტებისთვის. აღსანიშნავია, რომ გამოკვეთილი პრობლემების მიუხედავად, სამინისტროს გააჩნია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის საკმაოდ მძლავრი მექანიზმები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ზოგადი საკითხი - გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტანდარტი არაერთგვაროვანია სამინისტროს მართვაში არსებულ სუბიექტებში, რომლებიც საჭიროებენ კარგი მმართველობის ახალი სტანდარტების დანერგვას, რაც მომავალში მათი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის საწინდარი უნდა გახდეს.

საჭიროებების შეფასების ფარგლებში გამოიკვეთა როგორც შიდა ნორმატიული ბაზის დახვეწის საჭიროება, ისე სამინისტროს ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარების საჭიროება მამხილებელთა დაცვის, ეთიკის, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საზოგადოებრივი ჩართულობის თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია, აღნიშნული გამოწვევების გაუმჯობესებისათვის მოხდეს ელექტრონული მმართველობის მექანიზმების გამოყენება, რაც თანამედროვე საჯარო მმართველობის თვალსაზრისით საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს.[22] ელექტრონული მმართველობის მექანიზმები მოიცავს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ხელმისაწვდომობის საშუალებებს, ელექტრონული ჩართულობის სხვადასხვა მოდულებს (გამოკითხვები, შეფასებები, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა, ელექტრონული კონსულტაციები და ა.შ.) და სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის და სერვისების მოქალაქეებამდე ელექტრონული ფორმით მიტანის შესაძლებლობას.

დამატებით, გაუმჯობესების საჭიროება არსებობს შიდა უწყებრივი და უწყებათაშორისი თანამშრომლობის სფეროში, რაც თავად სტრატეგიის მიზნის განხორციელებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

## სტრატეგიის მიზანი და ამოცანები

**სტრატეგიის ძირითადი მიზანია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში ანგარიშვალდებულების, ასევე, კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის სისტემის გაუმჯობესება, სამინისტროს საქმიანობისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდა და კორუფციის პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესება.**

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და არსებული გამოწვევების ანალიზის გათვალისწინებით, გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. **გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა;**
2. **ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესება;**
3. **ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება;**
4. **დაგეგმვის, მონიტორინგის და შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დახვეწა.**

---

[22] ციფრული საქართველო - ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018, გვ.11, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო
ხელმისაწვდომია:
https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwie7OWqg_TRAhXGWBQKHTNsCBIQFggYMAA&url=http%3A%2F%2Fwww.dea.gov.ge%2Fuploads%2FeGeorgia%2520Strategy%2520FINAL%2520_Geo_.doc&usg=AFQjCNET_1YV9aCy3TQWJhVbDeKsRAufuw&sig2=Bi7JOeByuKHPDWUL1sjW5w&bvm=bv.146094739,d.d24
საქართველოს მთავრობის დადგენილება №427 საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტების - „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ისა“ და „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია 2015-2017-ის“ დამტკიცების თაობაზე, 19 აგვისტო 2015 ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2953552

# ამოცანები

## 1. გამჭვირვალობის და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა

ანგარიშვალდებულების გაზრდისა და კეთილსინდისიერების ამაღლების მიზნით სამინისტრო ძალისხმევას მიმართავს გამჭვირვალობის და სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმების გაუმჯობესებისაკენ, რაც გაზრდის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული დაწესებულებების მიმართ საზოგადოების ნდობას და უზრუნველყოფს საჯარო სერვისების ეფექტიან მიწოდებას და განხორციელებას.

სამინისტრო აცნობიერებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას გამჭვირვალე გარემოს ჩამოყალიბებისათვის და მიმართავს ძალისხმევას მის სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში ისეთი სტანდარტის დასანერგად, რომელიც მოიცავს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ ხელმისაწვდომობას. ამ თვალსაზრისით სამინისტრო, ასევე, იზრუნებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების განვითარებაზე.

სამინისტრო ხელს შეუწყობს **საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემების ფორმატში წარმოების დანერგვას**, რაც გაამარტივებს მის გამოყენებას, ანალიზს და გავრცელებას. სამინისტრო, ასევე, მიმართავს ძალისხმევას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირების უფრო ეფექტიანი მექანიზმების შესაქმნელად.

სამინისტროს სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში გაუმჯობესდება **სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები**. საქმიანობის სხვადასხვა სფეროში საზოგადოებრივი ჩართულობის განვითარებისთვის სამინისტრო თემატურად ითანამშრომლებს შესაბამისი სფეროს ექსპერტებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებთან.

სამინისტროს ძალისხმევით უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებრივი ჩართულობა სამინისტროს გრძელვადიანი პრიორიტეტების ფორმირების პროცესში, კერძოდ, შეიქმნება სამოქალაქო საზოგადოების და კონკრეტული ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის მექანიზმები, რომელთა გამოყენება მოხდება როგორც სამინისტროს მიერ პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების დროს, ისე სამინისტროს მონაწილეობით შექმნილი მნიშვნელოვანი სტრატეგიების შემუშავებისას.

სხვა მექანიზმებთან ერთად, ასევე, მოხდება ელექტრონული საშუალებების განვითარება გამჭვირვალობისა და ჩართულობის უზრუნველყოფის უფრო მაღალი დონის მიღწევისათვის. სამინისტროში ამჟამად არსებობს როგორც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული ფორმა, ისე პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის მექანიზმები, რაც, ასევე, დაინერგება სამინისტროს სისტემაში და მართვაში არსებულ სუბიექტებში. სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების

ვებგვერდებს დაემატება ისეთი ფუნქციები, რომლებიც მიმართული იქნება კომუნიკაციის ფორმების გაუმჯობესებისაკენ და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდისაკენ.

## 2. ეთიკისა და კეთილსინდისიერების არსებული მექანიზმების გაუმჯობესება

ეთიკის და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, სამინისტრო 2 ძირითადი მიმართულებით იმუშავებს:

- *შიდა რეგულაციების სრულყოფა ეთიკური ნორმების დაცვის გაუმჯობესების მიზნით;*
- *ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარება ეთიკის და კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით.*

თანამშრომელთა შორის ეთიკის პრინციპების განუხრელი დაცვის დამკვიდრება მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერი გარემოს ჩამოყალიბებისთვის, რადგან ეთიკის პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს დაწესებულების დაცულობას სისტემური გადაცდომებისგან. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეთიკური და კეთილსინდისიერი ქცევის წესების დაცვისთვის და დამკვიდრებისთვის, სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში მოხდება შიდა რეგულაციების გაუმჯობესება და მათ შესახებ თანამშრომელთა ინფორმირება.

განახლებულ შინაგანაწესში გათვალისწინებული იქნება სამსახურებრივი კომუნიკაციის, ნეპოტიზმის, მიუკერძოებლობის, შრომის დისციპლინის და საჯარო რესურსების ეფექტიანი განკარგვის საკითხები. სამინისტრო უზრუნველყოფს ეთიკის პრინციპების გავრცელებას სამინისტროს მართვაში არსებულ სუბიექტებზე, რათა იქ არსებული მმართველობითი მექანიზმები შესაძლებლობის ფარგლებში შესაბამისობაში მოვიდეს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს რეგულაციებთან და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, მათ შორის, მამხილებელთა დაცვისა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებთან.

აღსანიშნავია, რომ კორუფციისა და არაკეთილსინდისიერი ქმედების პრევენციის თვალსაზრისით ორი სახის მიდგომას განასხვავებენ - **სიტუაციური პრევენცია** და **სოციალური პრევენცია**. ***სიტუაციური პრევენცია*** ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას გულისხმობს, ხოლო ***სოციალური პრევენცია*** მიმართულია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისკენ.

სიტუაციური პრევენციის ნაწილში სამინისტრო იმუშავებს ისეთი ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს მის დაცულობას მაღალკვალიფიციური კადრების გადინების ან ხელმძღვანელობის ცვლილებით გამოწვეული რისკებისგან. სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების შემთხვევაში იკვეთება სოციალური პრევენციის ნაწილში ღონისძიებების დაგეგმვის საჭიროება. სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული

სუბიექტები უზრუნველყოფენ ეთიკის საკითხებზე თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას და ამ მხრივ ვითარების გაუმჯობესებას. თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარების გარდა, სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტები თანამშრომლებს გადაამზადებენ ეთიკის და ინტერესთა შეუთავსებლობის თაობაზე არსებული რეგულაციების საკითხებზე.

საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია **მამხილებელთა ინსტიტუტის მხარდაჭერა**[23]. მამხილებელთა ინსტიტუტის გამართული ფუნქციონირება, ასევე, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მხრიდან ხელისუფლების ეფექტური კონტროლისათვის. ფართო გაგებით, მხილების ინსტიტუტი უკავშირდება როგორც ხარისხიან, მიუკერძოებელ და ეფექტურ საჯარო სამსახურს, რომელიც ეფუძნება კეთილსინდისიერებისა და ობიექტურობის პრინციპებს, ასევე, კონკრეტული საჯარო მოსამსახურეების მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს.[24] სამინისტრო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობს მის სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში მამხილებელთა დაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას და კანონით განსაზღვრული პროცედურების დანერგვას.

ეთიკის და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესების ამოცანიდან გამომდინარე, სამინისტრო უზრუნველყოფს მხილების მექანიზმის ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობას მის სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში, რაც მამხილებელს გაუადვილებს კანონის დარღვევაზე და სხვა გადაცდომაზე რეაგირებას.

## 3. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესების ნაწილში სამინისტრო მიმართავს ძალისხმევას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ეფექტური დანერგვისკენ, რაც, მათ შორის, მოიცავს სამსახურში მიღების, სამსახურიდან გათავისუფლების, დაწინაურების, წახალისებისა და გადამზადების პროცედურების გამართულ ფუნქციონირებას. გარდა ამისა, ძალისხმევა მიემართება იმისკენ, რომ საკადრო პოლიტიკა ეყრდნობოდეს დამსახურებაზე დაფუძნებულ მიდგომას, უზრუნველყოფდეს სამართლიან გარემოს ყველასთვის და ითვალისწინებდეს ეფექტურობის და ეფექტიანობის პრინციპების დაცვას.

საკადრო პოლიტიკის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ადამიანური რესურსების მართვის განსხვავებული სტანდარტების არსებობა სამინისტროს სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში. აღსანიშნავია, რომ სამინისტროში და მის

---

[23] საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის, 20[1] მუხლის მიხედვით, მხილება არის პირის მიერ შესაბამისი ორგანოს ინფორმირება საჯარო მოსამსახურის მხრიდან ჩადენილი შესაძლო კანონდარღვევის ან ეთიკური გადაცდომის შესახებ, რომელმაც შესაძლოა დააზიანოს დაწესებულების რეპუტაცია ან საჯარო ინტერესი
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550

[24] სახელმძღვანელო მამხილებელთა დაცვის შესახებ, გვ. 4, სსიპ- საჯარო სამსახურის ბიურო, 2015 წელი
ხელმისაწვდომია: http://csb.gov.ge/uploads/mkhileba.pdf

სისტემაში შემავალ სუბიექტებში მოქმედი პრაქტიკა შეესაბამება გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების მაღალ სტანდარტებს. ეს მიდგომები, ასევე, გავრცელდება სამინისტროს მართვაში არსებულ სუბიექტებზეც.

სამინისტროს ძალისხმევა მიმართული იქნება ადამიანური რესურსების მდგრადობის უზრუნველყოფისკენ და მათი გადინების თავიდან აცილებისკენ. ადამიანური რესურსების მდგრადობა ხელს შეუწყობს სამინისტროში კარიერული წინსვლის პრინციპის დამკვიდრებას და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

### 4. დაგეგმვის, მონიტორინგის და შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დახვეწა

სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის, მათ შორის, ინფრასტრუქტურული პროექტების, რაციონალური დაგეგმვა და ეფექტიანი მონიტორინგი სამინისტროს სისტემაში კარგი მმართველობის დანერგვისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. პროექტების დაგეგმვისა და მონიტორინგის სისტემის გამართული ფუნქციონირება, ასევე, მნიშვნელოვანწილად ემყარება ხარჯთეფექტიანობის მეთოდის ფართოდ დანერგვას.

სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების მიერ განსახორციელებელი პროექტების თვალსაზრისით, გაუმჯობესდება ადამიანური რესურსები და ინსტიტუციური შესაძლებლობები. სამინისტრო ხელს შეუწყობს პროექტების დაგეგმვის და მონიტორინგის საკითხებში თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავებას და მათი შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

საბიუჯეტო რესურსის ოპტიმალური განაწილების მიზნით, გაუმჯობესდება ადამიანური რესურსების შესაძლებლობები. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება სახელმძღვანელო დოკუმენტების თავსებადობა დონორი ორგანიზაციების სამოქმედო დოკუმენტებთან. სამინისტროს სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების მიერ განსახორციელებელი პროექტების დიდ ნაწილს ინფრასტრუქტურული პროექტები წარმოადგენს. ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის პრინციპების გასაუმჯობესებლად სამინისტრო ფართოდ გამოიყენებს წინასწარი შეფასების მეთოდოლოგიას, რომელიც საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევში არის მოცემული.[25]

## დასკვნა

დემოკრატიული მმართველობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სამინისტროს, როგორც საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტისადმი, საზოგადოების ნდობის გაზრდა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ

[25] საქართველოს მთავრობის დადგენილება №191 საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე, 2016 წლის 22 აპრილი
ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3265745

სამინისტრო საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის განხორციელების პროცესში ერთ-ერთი საკვანძო საჯარო დაწესებულებაა.[26] კარგი მმართველობის აღნიშნული პრინციპების მიღწევა გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ეფექტური მექანიზმების გაუმჯობესებით არის შესაძლებელი.

სამინისტროს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება, ასევე, ხელს შეუწყობს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.[27] კერძოდ, სტრატეგიის განხორციელება გააუმჯობესებს კარგი მმართველობის და კორუფციის პრევენციის მექანიზმებს, რაც ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამასთანავე, კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის სისტემის გაუმჯობესება მკაფიოდ ეხმიანება იმ პრინციპებს და ვალდებულებებს, რომლებიც საქართველომ OGP-ის ფარგლებში აიღო.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის მიზნების მისაღწევად, სტრატეგიის დოკუმენტში მოყვანილი ოთხივე ამოცანის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებები ასახულია სამოქმედო გეგმაში. სამოქმედო გეგმის განხორციელების შემდეგ ჩატარდება ე.წ. *ex post* შეფასება. ინდიკატორებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შემდეგ მოხდება სტრატეგიის გადახედვა და იმ დროისთვის არსებული გამოწვევების გათვალისწინებით მისი განახლება. სამინისტრო, ასევე, უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას და მის ფართოდ გავრცელებას.

გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მექანიზმების განვითარება ხელს შეუწყობს სამინისტროში და მის სისტემაში კეთილსინდისიერების პრინციპის განმტკიცებას, რაც კორუფციის პრევენციისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების გადაჭრა უზრუნველყოფს სამინისტროში კარგი მმართველობის დანერგვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან სისტემურ გაუმჯობესებას, კერძოდ:

- სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში გაუმჯობესდება საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის სტანდარტები. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდას.
- სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში გაუმჯობესდება ეთიკის მარეგულირებელი შიდა რეგულაციები და ამაღლდება

[26] სამთავრობო პროგრამა 2016-2020, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი 2016
ხელმისაწვდომია: http://gov.ge/files/68_58446_288262_programa.pdf
[27] *იხ. ზემოთ სქოლიო 6*

ეთიკის პრინციპების შესახებ თანამშრომელთა ცნობიერება, რაც ხელს შეუწყობს კეთილსინდისიერი გარემოს განვითარებას.

- საზოგადოებრივი ჩართულობის მექანიზმების გაძლიერებით გაიზრდება სამინისტროს მიმართ საზოგადოების ნდობა და გაუმჯობესდება სამინისტროს საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი.
- დაგეგმვის, მონიტორინგის და შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმების დახვეწა უზრუნველყოფს საჯარო რესურსების განკარგვის ეფექტიანობას.